ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 80

18 მარტი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან არველაძე,ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (#11-01200772145) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-032007757-03)

გაიოზ თალაკვაძის თქმით, წარმოდგენილ ცვლილებებში ძირითადი რაც წარმოდგენილია, არის სარეზერვო ფონდის გაზრდა 500 000 ლარით, COVID19-თან დაკავშირებით ხარჯების ასანაზღაურებლად და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის პირველ კვარტალში ასიგნებების გაზრდა 900 000 ლარით, ბაგა|ბაღების აღსაზრდელთათვის მარაგების დასარიგებლად. წარმოდგენილია ასევე „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში 700 000 ლარის გადატანა პირველიდან მეოთხე კვარტალში და ავარიული შენობების გამაგრების“ პროგრამაში - 743 200 ლარის გადატანა პირველიდან მომდევნო კვარტლებში, რაც ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებია.

კომისიის წევრებმა ისაუბრეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შექმნილ პრობლემებზე.

შეკითხვები ქონდათ ოთარ გრიგოლიას, ლევან არველაძეს, ირაკლი ზარქუას, რამინა ბერაძეს, ვახტან შაქარიშვილს. მათ შეკითხვებზე გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებზე ტენდერების კუთხით ჯერჯერობით შეფერხება არ არის. ისაუბრეს ვალუტის კურსის ზრდასთან დაკავშირებით. რამინა ბერაძემ აღნიშნა, რომ დაგეგმილია ეკონომიური გუნდის შეხვედრა ,სადაც განიხილება აღნიშნული საკითხი და გადაწყვეტილება მიიღება.

ვახტანგ შაქარიშვილის შეკითხვაზე, იგეგმება თუ არა კაპიტალური ხარჯების ზრდა, ვინაიდან როცა ეკონომიკურად სახელმწიფოს უჭირს ამ მხრივ მუნიციპლაიტეტშა უნდა გასწიოს ხარჯები.ირაკლი

ზარქუამ აღნიშნა, რომ როგორც სახელმწიფოს ისე მუნიციპალიტეტის დონეზე საგადასახადო კუთხით 4 თვიანი შეღავათებია .

ლევან არველაძის შეკითხვაზე გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ შემოსავლების ნაწილიში, ვამცირებთ იჯარის თანხებს, დაახლოებით 2,5 მლნ -ით შეგვიმცირდება შემოსავლები, რაც შეეხება დღგ-ეს, შემცირება ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ამ კუთხით კორექტირების პროგნოზი აქვთ.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ „ალბათ მოგვიწევს ბიუჯეტის კორექტირება, განსაკუთრებით ჯანდაცვის კუთხით“ და დაინტერესდა ხომ არ მოგვიწევს სუბსიდირების გაზრდა , რაზედაც აღინიშნა, რომ სუბსიდირება სავარაუდოდ ექნება სპორტისა და ხელოვნების სკოლებს, ვინაიდან მათ საკუთარი შემოსავლები მოაკლდათ, თუმცა შეფასებების გაკეთება ჯერ ძნელია. ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ ამ ტიპის გადაწყვეტილებები მიიღება საკოორდინაციო საბჭოს მიერ, როგორც მაგალითად „მარშრუტკებთან“ დაკავშირებით. მაღალი რისკის ტრანსპორტია და მოქალაქეების დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად ზრდის ავტობუსების რაოდენობას, განსაკუთრებით სადაც ინტერსიური გადაადგილებაა.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებიდ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და საფინანსო საქალაქო სამსახურები,მთაწმინდის რაიონის გამგეობა და ა(ა)იპ ბაგა-ბაღების სააგენტო ითხოვენ ცვლილებას მათთვის მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილებისდანართი1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისადმიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია